

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს საზედამხედველო კომიტეტის საქმიანობის ანგარიში
პერიოდი: 2015 წლის დეკემბერი - 2016 წლის თებერვალი.

შესავალი: ანგარიში ასახავს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს საზედამხედველო კომიტეტის 2015 წლის დეკემბრის - 2016 წლის თებერვლის პერიოდში განხორციელებულ აქტივობებს. აღნიშნული მოიცავს:

- საველე ვიზიტები ზუგდიდსა და ბათუმში;
- ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ახალი წევრების საორიენტაციო შეხვედრა, რომლის მსვლელობისას საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარემ გააცნო ახლად არჩეულ წევრებს ზედამხედველობის ძირითადი ფუნქციები;
- გრანტების განმახორციელებელ გუნდთან და საბჭოს სამლოვნოს მონაწილეობით გამართული 1 შეხვედრა, რომელიც მიემდგვნა გრანტების საზედამხედველო ჩარჩოს - დეშბორდის განხილვას;
- ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ერთი სხდომა, რომლის მსვლელობისას მოხდა მე-7 პერიოდის დეშბორდის ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების წარდგენა;

საველე ვიზიტები:

საბჭოს 81-ე სხდომის გადაწყვეტილების თანახმად, 2015 წლის 16-18 დეკემბერს ჩატარდა საველე ვიზიტები ზუგდიდსა და ბათუმში. *ვიზიტის მიზანი იყო* გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე შიდსის პროექტის მიმდინარეობის სტატუსის შეფასება. ასევე მომატებული რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის (IDUs, MSM, FSW) აივ-ტესტირების და კონსულტირების სერვისებით მოცვის ინდიკატორის შეფასება მისი გაუმჯობესების გზების მოძიების მიზნით.

განმარტება: გლობალური ფონდის შიდსის პროგრამის განხორციელების მე-6 პერიოდის დეშბორდის (1 ივლისი - 30 სექტემბერი) განხილვისას გამოიკვეთა ინდიკატორის არასრული შესრულება - 86%. ამდენად მნიშვნელოვანი იყო იმ გარემოებების შესწავლა რაც ხელს უწყობს ან განაპირობებს ზემოაღნიშნული მოცვის მაჩვენებლებს, მისი შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად.

ვიზიტის დროს მოახსულებულ იქნა შემდეგი საიტები:

ზუგდიდი. 3 საიტი:

1. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი/ქსენონი
2. თანადგომა
3. შიდსის ცენტრი

ბათუმი. 6 საიტი.

1. შიდსის ცენტრი
2. ტბ ცენტრი
3. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი/იმედი
4. ნარკოლოგიის ცენტრი
5. თანადგომა
6. შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი

ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება გლობალური ფონდის პროექტების განხორციელებაში ჩართულ თანამშრომლებთან და უშუალოდ ბენეფიციარებთან.

შიდსის ცენტრის თანამშრომლებთან შეხვედრის დროს განხილულ იქნა ცენტრში არსებული და პოტენციური სირთულეები, რეგიონში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია, ტენდენციები.

ბათუმის შიდსის და ტბ ცენტრის თანამშრომლებთან შეხვედრის დროს განხილულ იქნა ცენტრში არსებული და პოტენციური სირთულეები, რეგიონში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია, ტენდენციები. ბათუმის ტბ ცენტრის თანამშრომლებთან შეხვედრისას განხილულ იქნა ახალ სამკურნალო რეჟიმებთან დაკავშირებული საკითხები, ფულადი წახალისების პროგრამის მიმდინარეობის სტატუსი, ელექტონული მოდულის დანერგვის საკითხები.

მეთადონის ცენტრის თანამშრომლებთან საუბარი შეეხო პროგრამის მიმდინარეობის სტატუსს, არსებულ თუ პოტენციურ სირთულეებს პროგრამის განხორციელებაში.

თითოეული საიტის ვიზიტის შედეგები გთხოვთ იხილოთ ვიზიტის თანდართული ანგარიშში.

აღსანიშნავია, რომ შემდგომი პერიოდის დეშბორდში (პ7) მოხდა ინდიკატორის შესრულების ზრდა და მან 93% შეადგინა.

საბჭოს ახალი წევრების საორიენტაციო შეხვედრა

2016 წლის 20 იანვარს გაიმართა საბჭოს ახალი წევრების საორიენტაციო შეხვედრა, რომლის მსვლელობისას, ბატონმა დავით ანანიაშვილმა, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარემ მიაწოდა შეხვედრის მონაწილეებს დეტალური ინფორმაცია საბჭოს საზედამხედველო მანდატის შესახებ.

დემზორდის განხილვისადმი მიძღვნილი შეხვედრა

2016 წლის 7 მარტს გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა მე-7 პერიოდის (1 ოქტომბერი 2015 – 31 დეკემბერი 2015) დემზორდის მონაცემების განხილვას. საზედამხედველო კომიტეტის რეკომენდაციები:

შიდსის პროგრამა.

1. ინტრავენული ნარკოტიკის მომხმარებელთა შორის აივ პრევენციის პროგრამებით მოცვის ინდიკატორის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი საჭიროებს საზედამხედველო კომიტეტის მხრიდან შემდგომ დაკვირვებას, რათა მოხდეს დანერგილი პრაქტიკისა და მიდგომების შესწავლა, მაგალითად მობილური ამბულატორიების განრიგის როტაციიდან გამომდინარე შედეგებზე დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში უფრო ეფექტურად დაგეგმვა. ასევე შემოთავაზებულია საიტ ვიზიტის განხორციელება საზედამხედველო კომიტეტის ჩართულობით.
2. MSM and FSW-ების აივ პრევენციის პროგრამებით მოცვის ინდიკატორის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი, ასევე მოითხოვს საზედამხედველო კომიტეტის მხრიდან შემდგომ დაკვირვებას, რისთვისაც მოთხოვნილია თბილისის და რეგიონების მიხედვით მონაცემების დისაგრეგაცია.
3. 1 მილილიტრიანი შპრიცების ხარისხთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა მომხმარებლებს შორის ჩატარდეს კვლევა/ გამოკითხვა შპრიცების ხარისხის დამაკმაყოფილებლობასთან დაკავშირებით ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ.

ტუბერკულოზის პროგრამა.

1. შემდეგი ინდიკატორის: „პროცენტული მაჩვენებელი ლაბორატორიებისა რომლებმაც გაიარეს ნახველის მიკროსკოპიის გარე ხარისხის კონტროლი“

შესრულება საჭიროებს შემდგომ დაკვირვებას საზედამხედველო კომიტეტის მხრიდან ტუბერკულოზის ცენტრთან ერთად.

2. შეწყვეტილი მკურნალობის მაჩვენებელთან დაკავშირებით რეკომენდირებულია მოხდეს 2015 წლის იანვარი-ივნისის პერიოდის კოჰორტაზე დაკვირვება და კონკრეტული მიზეზების ანალიზი.

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომა

2016 წლის 9 მარტს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 82-ე სხდომაზე მოხდა მე-7 პერიოდის დეშბორდის რეკომენდაციების წარდგენა და შეთანხმება.

ანგარიში მომზადდა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ.

დავით ანანიაშვილი

საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი